

საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს

საზედამხედველო კომიტეტის

ვიზიტი „ახალ ვექტორში“

2016 წლის 1 ნოემბერი

მონაწილეები:

თამარ ბორცვაძე – საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე, ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, მსოფლიო ექიმები, უფროსი ოფიცერი ადვოკატირების საკითხებში

თამარ ქაშიბაძე – საზედამხედველო კომიტეტის წევრი, სასჯელაღსრულების სამინისტროს, სამედიცინო დეპარტამენტი, რეგულირების განყოფილება, უფროსი სპეციალისტი

ნინო მამულაშვილი – ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ოფისი საქართველოში

ალექსანდრე ასათიანი – დაავადებათა კონტროლის ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტის განმახორციელებელი ერთეული

კონსტანტინე ლაბარტყავა – ახალი ვექტორის დირექტორი

ლაშა აბესაძე – ახალი ვექტორის რუსთავის ოფისის დირექტორი

გურამ შაფათავა – ახალი ვექტორი, სოციალური მუშაკი

პაატა ფორჩხიძე – ახალი ვექტორი

ირინა გრძელიძე – ქსს-ს აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქსს-ს ადმინისტრაციული ასისტენტი

ვიზიტის მიზანი:

ვიზიტის მიზანი იყო გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (GEO-H-NCDC) განხორციელების სტატუსის და სათემო ორგანიზაციის ახალი ვექტორის მიერ ნარკოტიკის ინიექციური მომხმარებლებისათვის განხორციელებული ინტერვენციების განხილვა. განხილვის დამატებითი თემები მოიცავდა პროგრამულ საკითხებს, აივ-ის პრევენციის მეორადი სერვისებით მოცვის გამოწვევებს და პროგრამის განხორციელების გზებს და მექანიზმებს.

ვიზიტის ამოცანები:

1. ახალი ვექტორის მიერ განხორციელებული აქტივობების მიმოხილვა;
2. პროგრამის განხორციელების ბარიერების იდენტიფიცირება.

მეთოდოლოგია:

- ახალი ვექტორის თანამშრომლებთან გრანტის განხორციელების პროცესის გამოწვევების განხილვა.

განხილული საკითხები:

ახალი ვექტორის დირექტორმა, ბ-ნმა კონსტანტინე ლაბარტყავამ მოკლედ წარადგინა ორგანიზაცია, აქტივობები და 2006 წლიდან, სათემო drop-in ცენტრებში აივ-ის და C ჰეპატიტის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის განხორციელებული პროექტები. მან აღნიშნა, რომ ორგანიზაცია აწვდის აივ/შიდსის და C ჰეპატიტის ფართო სერვისებს და იყენებს გლობალურ ფონდთან და მსოფლიო ექიმებთან თანამშრომლობაში ბენეფიციარზე ორიენტირებულ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიდგომას ნარკოტიკის მიერ გამოწვეული ზიანის შესამცირებლად ბენეფიციარების სპეციფიური საჭიროებების დაკმაყოფილების და მათთვის ადექვატური მხარდაჭერის მიწოდების გზით. ახალ ვექტორში გამხორციელებული პროგრამები ვარირებს აივ განათლების და პრევენციიდან აივ-ის და C ჰეპატიტის რისკის ქვეშ მყოფი ნიშ-ებისათვის თანაგრძნობითი ზრუნვის და ადვოკატირების მიწოდებამდე. ბ-ნი ლაბარტყავას თქმით, ქვეყნის ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის ადვოკატირება სერვისების მიწოდებასთან ერთად წარმოადგენს ნარკომომხმარებლების სამოქალაქო და ჯანდაცვის უფლებების გარანტიის ცენტრალურ მექანიზმს.

ორი მობილური ამბულატორია, „აუტრიჩ“ მუშაკები და საველე ტესტირება გამოიყენება აივ-ის, C ჰეპატიტის და სიფილისის ტესტირებისათვის მაღალი რისკის ქვეშ მყოფი, სერვისის მიწოდების მოკლებული პოპულაციისათვის. ტესტირებასთან დამატებით, ახალი ვექტორის თანამშრომლები ახდენენ ვირუსული C ჰეპატიტის მქონე გამოვლენილი პირების (სწრაფი ტესტების მეშვეობით) რეფერალს სპეციალიზირებულ სამედიცინო სამსახურებში.

როგორც ახალი ვექტორის ერთ-ერთმა თანამშრომელმა აღნიშნა მობილური ამბულატორიები აღმოჩნა ძალზედ ეფექტური, განსაკუთრებით ქვემო ქართლის რაიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის. ძირითადი მიმღები ორგანიზაციის წარმომადგენელმა, ბ-ნმა ალექსანდრე ასათიანმა აღნიშნა, რომ მოსალოდნელია შემდგომი გაუმჯობესება მონაცემთა შეგროვებაში. თემზე დაფუძნებული აივ-პრევენციის პროგრამების მიერ მოცული ბენეფიციარების მონიტორინგის და რეგისტრირების გასაუმჯობესებლად დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი გეგმავს მონაცემთა ბაზის ღია ელექტრონული სისტემის (SyrEx -შემუშავებულია უკრაინის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ალიანსის მიერ) დანერგვას. აღნიშნული კიდეც უფრო გააუმჯობესებს მონაცემთა შეგროვებას და მენეჯმენტს.

მიხედვად იმისა, რომ ახალი ვექტორი იყენებს აივ პრევენციის მიმართებაში მრავალმომცველ მიდგომას არსებობს შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობები, რაც ითვალისწინებს ნიშ-ების სქესობრივი პარტნიორების ჩართვას. დივერსიფიცირებული სერვისების მიწოდება ბენეფიციარებისადმი და მათი სქესობრივი პარტნიორებისადმი, როგორც სახლში ასევე სპეციალიზირებულ სამედიცინო სამსახურებში (მაგ. გინეკოლოგიური კონსულტაციები) რეფერალური სისტემის მეშვეობით შესაძლოა

გაუმჯობესდეს. ბენეფიციარების საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილებისათვის საჭიროა უფრო სისტემატიზირებული მიდგომა. ძირითადი მიმღები, ზიანის შემცირების ცენტრების თანამშრომლებთან ერთად მუშაობს აღნიშნული მიდგომის გაძლიერებაზე და მის ინსტიტუციონალიზაციაზე ზიანის შემცირების ცენტრებში.

შეხვედრის მსვლელობისას გამოიკვეთა გლობალური ფონდის პროგრამების განხორციელების შემდეგი ბარიერები:

- სექტემბრის თვეში „ახალ ვექტორს“ ქონდა პრობლემა საოფისე ფართის ქირის გადახდასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეული იყო ბანკის მიერ ზიანის შემცირების საქართველოს ქსელისათვის საბანკო გარანტიის გაცემის დაგვიანებით (საოფისე ქირა გადახდილ იქნა ერთი თვის დაგვიანებით). თუმცა, აღნიშნულმა ფაქტმა არ მოახდინა არანაირი ზეგავლენა პროექტის განხორციელებაზე. არ არის მოსალოდნელი ამგვარი ფაქტების მომავალში განმეორება, რადგანაც მიმდინარე პროგრამის ფარგლებში (დაწყების თარიღი - 2016 წლის სექტემბერი) გამოიყოფა თანხები 2017 წლის დეკემბრადე.
- ახალი ვექტორის თანამშრომლებმა ხაზი გაუსვეს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის (გლობალური ფონდის გრანტის მიმღები) პროექტის განხორციელებისათვის სერვისების შესყიდვის ფინანსურ მექანიზმს. სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობა, რომელიც მოქმედებს, როგორც ხელშეკრულების დაგეგმილი აქტივობების განხორციელების გარანტია, მოითხოვს ორგანიზაციისაგან დამატებით ძალისხმევას რესურსების მობილიზაციისათვის ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის ბენეფიციარები ვერ დაესწრნენ შეხვედრას გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, ახალი ვექტორის დირექტორმა, კონსტანტინე ლაბარტყავამ შესთავაზა საზედამხედველო კომიტეტს თბილისის ყველა drop-in ცენტრის ბენეფიციარებთან შეხვედრა მიწოდებული სერვისების და ნებისმიერი გამოწვევის შესახებ მათი მოსაზრებების განხილვისათვის.

თამარ ბორცვაძე

საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე